ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3045676

ნომერი: AR1463418

თარიღი : 16.12.2016

გაცემის თარიღი : 13.01.2017

გაცნობის თარიღი : 13.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ ფირცხალავა პ/ნ 01017042814
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:
- შპს "მუზა 2002" კოდი: 204440989

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ სებისკვერაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "მუზა 2002"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204440989
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ფირცხალავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017042814

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 443-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.02.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 2012 წლის 23 თებერვლის N6/443 ბრძანებაში, მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 23 თებერვალს N ნ/443 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, (სექტორი - მთაწმინდა), კოსტავას ქ. N27-ში (უძრავი ძეგლი), შპს ,,მუზა 2002"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულ უძრავ ძეგლზე რეკონსტრუქცია–ადაპტაციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2014 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. სამსახურის 27.08.2013 წლის №847592 ბრძანებით მშენებლობის ვადა გაგრძელებული იქნა 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
2016 წლის 16 დეკემბერს N AR1463418 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ნიკოლოზ ფირცხალავამ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2012 წლის 23 თებერვლის N6/443 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას. სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 თებერვლის N6/443 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის N6/443 და 27.08.2013 წლის №847592 ბრძანებებთან ერთად.

---

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.